პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
პარასკევი
10 აპრილი
№ 84 (18026)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1981-1985 წლებში აგროქიმიური სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ და „სოფლის მეურნეობაში ტექნიკის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის დამატებითს ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში „1981-1985 წლებში აგროქიმიური სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ აღნიშნულია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მინერალური სასუქის წარმოება და სასოფლო მეურნეობისათვის ეიწოდება. იმატა საკვების დანაკარგების, ნიადაგის მელიორანტების გამოყენების მოცულობამ, გაუმჯობესდა მცენარეთა დაცვის ქიმიურ და ბიოლოგიურ საშუალებათა ასორტიმენტი, არსებითად ადადდა ორგანული სასუქების დაგროვებისა და გამოყენების მოცულობა.

მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის ეფექტიანობის ამაღლებას აფერხებს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და „სოფლქიმიის“ გაერთიანებების სუსტი უზრუნველყოფა ქიმიური პროდუქციის მისაღებ-შესანახი საწყობებით, ამ პროდუქციის გადასაზიდად და გამოსაყენებლად საჭირო სატრანსპორტო საშუალებებითა და ტექნიკური ტექნიკით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ავტომობილური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დაავალეს იხელმძღვანელონ XXVI ყრილობის გადწყვეტილებებით სოფლის მეურნეობაში აგროქიმიური სამსახურის როლის გაძლიერებისა და მინერალური და ორგანული სასუქების, ქიმიური მასალებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების ეფექტიანი გამოყენებისათვის მისი პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ და უზრუნველყონ 1981-1985 წლებში ამ სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ოფელმწიფოებრივი განმტკიცება და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის ეფექტიანობის ამაღლება.

დადგენილებით გათვალისწინებულია ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა განხორციელების შედეგად განვითარდება გაერთიანება „სოფლქიმიის“ სისტემის, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სამსახურის საწარმოო ბაზა, და ამის საფუძველზე შემცირდება ქიმიზაციის საშუალებათა დანაკარგები ქარხნიდან მინდვრამდე, გადატანისას, გაიზრდება მათი გამოყენების უკუგება. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაუწესდათ 1981-1985 წლების დაავალებანი, რათა ააშენონ და ამოქმედონ 9.355 ათასი ტონა ერთდროული შენახვის ქიმიური პროდუქციის საწყობები, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე მეათე ხუთწლეულში აშენდა.

დასახულია შეიქმნას ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ქიმიზაციის სამსახურის ტექნიკურ საშუალებათა დაცვა-შენახვას და უფლმივ სამუშაო მდგომარეობას. გაერთიანება „საკსოფლქიმიის“ სისტემაში აშენდება ტრაქტორების, ავტომობილებისა და სპეციალიზებული მანქანების ტექნიკური მომსახურების პუნქტები, გარაჟები, კეთილმოწყობილი სადგომები, ფარდულები და მოეწყობა მექანიზებული რაზმების სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტრაქტორების შესანახად. მექანიზებული საწყობებისა და სხვა საწარმოო ობიექტების სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციის „გუმჯობესების მიზნით „სოფლქიმიის“ გაერთიანებებს დაეხმარებიან სამშენებლო სამინისტროები და უწყებები.

სსრ კავშირის სამინტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს დაევალა უზრუნველყოს 1981-1985 წლებში ოზურგეთის, ლენინგორის, ბელგოროდის, ბაკურიანის, ბაკურიანის, ბაკურიან

ПРОБЛЕМА!

СПЕЦИАЛИСТИ გვირჩევს, გვთავაზობს

რომ ხელით შრომა შემცირდეს!

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია: „უზრუნველყოთ, რომ შემუშავდეს ეტაპობრივი, მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები უმნიშვნელოვანეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე". მათ შორის დასახელებულია ხელის შრომის გამოყენების შემცირების პროგრამაც.

ხელის შრომის მექანიზაციის პრობლემის გადაწყვეტა თბილისისათვის ისევე ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც მთლიანად რესპუბლიკისათვის. მაგალითად, დიდაქალაქის სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში, მრეწველობასა და მშენებლობაში მუშების შრომის მექანიზაციის დონე არც ისე მაღალია, მრეწველობაში იგი მხოლოდ 38 პროცენტს შეადგენს. ხელის შრომის შემცირების პროგრამის შემუშავება და მისი რეალიზაცია შესაძლებელს გახდის თბილისის სახალხო მეურნეობის დარგებში მძიმე, არაკვალიფიციური და მონოტონური ხელის შრომიდან გამოთავისუფლდეს ათასობით მუშა.

სამრეწველო საწარმოებში აღნიშნულ სამუშაოებში ფართოდ უნდა მიიღონ მონაწილეობა საწარმოს მთავარმა სპეციალისტებმა — მთავარი ტექნოლოგის, შრომისა და ხელფასის, საგეგმო-ეკონომიკური განყოფილებების და სხვა სამსახურების მუშაკებმა, რომელთა საქმიანობას კონტროლი უნდა გაუწიონ საწარმოთა დირექტორებმა. სამუშაოები უნდა შესრულდეს ზემდგომი სამეურნეო ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების შესაბამისი განყოფილებების მუშაკებთან მჭიდრო კავშირით.

ამ მიზნით შემუშავებული ფორმების შევსებისას აუცილებლად უნდა იხელმძღვანელონ არსებული დებულების შემდეგი მითითებებით: ხელით შრომის შემსრულებლებს უნდა მივაკუთვნოთ ის მუშები, რომლებიც საქმეს უმარტივესი იარაღებით (ნიჩბით, ძალაყინთით, ჩაქუჩით და ა. შ.) აკეთებენ. აგრეთვე ისინი, რომლებიც მუდმივად არიან დასაქმებული მანქანა-მექანიზმებთან; ასრულებენ არა მართვის, არამედ მხოლოდ მათი ნაწილობრივი მომსახურების ფუნქციას (დატვირთვას, გადმოტვირთვას, მიწოდებას და ა. შ.).

მუშებს, რომლებიც მექანიზებული წესით შრომობენ, მიეკუთვნება ისინი, ვინც მუშაობს მანქანების, მექანიზმების დახმარებით, ან მეთვალყურეობას უწევს ავტომატურ მანქანებს. იმ შემთხვევაში, თუ მუშა არ არის მიმაგრებული განსაზღვრული სახეობის მოწყობილობაზე, სამუშაოთა ნაწილს ასრულებს მექანიზებული წესით, ხოლო ნაწილს—ხელით. ამა თუ იმ კატეგორიაზე მიკუთვნება ხდება იმის მიხედვით, თუ რომელს უჭირავს დიდი ხვედრითი წილი ამ სამუშაოებიდან.

მოწყობილობის გამმართველები უნდა მივაკუთვნოთ მექანიზებული წესით მომუშავე მუშებს.

ხელის შრომის შემცირების მიზნობრივი პროგრამის შესადგენად გაშლილი სამუშაოთა შესრულების მიმდინარეობის შემოწმებით დადგინდა, რომ თბილისის ბევრი საწარმო (მაგალითად, საწარმოო გაერთიანებები „ისანი", „თბილისკონდიტერი" და მრავალი სხვ.) ფორმალურად მოეკიდა ამ საქმეს. მათ ნაჩქარევად და უხარისხოდ შეავსეს მასალები, თითოეულ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე ბევრი საწარმო არ ადგენს ცალ-ცალკე პასპორტებს, განგარიშებელი არა აქვთ ღონისძიებების დასანერგავად საჭირო დანახარჯების თანხა და ამ ღონისძიებებს დანერგვის შედეგად მისაღები ეფექტი ეკონომიკური ეფექტი, არ უჩვენებენ დაფინანსების წყაროებს, ამასთან არ განსაზღვრავენ დასამზადებელი უსტანდარტო მოწყობილობებისა და მკირე მექანიზაციის საშუალებათა ნომენკლატურას, არ ადგენენ იმ საწარმოთა სიას, რომლებმაც ეს მოწყობილობანი უნდა დაამზადონ.

ჩვენი აზრით, საწარმოთა მუშაკებმა საჭიროა ამ საკითხზე შეიცვალონ ჩვეული წარმოდგენა, აღარ არის საკმარისი დასჯერდნენ მხოლოდ წლიური გეგმების შედგენას, არც ერთი საწარმო, რაიონი და ქალაქი არ უნდა დარჩეს კარგად მოფიქრული ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი გეგმების გარეშე. საწარმოში ძალზე ფართოა შესასრულებელი ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა წრე, რომელთა წარმატებით გადაწყვეტისათვის ახლა აუცილებელია გეგმიანი მართვა.

ხელის შრომის შემცირების მიზნობრივი პროგრამის შემუშავება წარმოებაში ჩაბმულ მუშათა მრავალათასიანი კოლექტივების, მათი შრომის პირობების გაუმჯობესების ინტერესებს შეეხება და დადებითს უკეთეს ზეგავლენას მოახდენს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

ალ. ფერეთელი,
საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების განყოფილების მრეწველობის სექტორის გამგე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ნასაკირალის ეპოპეა

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა გურიის გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას

სოციალისტური უთანასწორობით განაწამები გურული გლეხობა არაერთხელ იარაღით შებრძოლებია უსამართლობას: ჯერ კიდევ 1841 წლის ცნობილი გლეხთა აჯანყება („პუნტი") დავიწყებული არ იყო, რომ 1850-1851 წლებში შეიარაღებული გამოსვლები დაიწყო სოფელ შემოქმედში. 1862 წელს შეიარაღებულმა აჯანყებამ მოიცვა ისეთი დიდი სოფლები, როგორიც არის ბახვი, შემოქმედი, ლიხაური, გურიანთა, ბაკურიანეთი, ბაილეთი... რევოლუციური გლეხობა მოითხოვდა ბატონყმობის სრულ გაუქმებას.

ამ პერიოდის რევოლუციური მოძრაობისათვის ნიშანდობლივი იყო პარტიზანული ომი. აუტანელი ცხოვრება გლეხობას აიძულებდა მიეტოვებინა ქოხი და ტყეში ფრაილად გასულიყო. ამ დროს სახელგანქმული ფირალები ს. დარჩია, ნ. მეხუბლა, დ. სურგულაძე, გ. ლომჯარია და სხვები შიშის ზარს სცემდნენ მეფის ხელისუფალთ. ისინი იყვნენ ჩაგრულთა საიმედო ქომაგნი, მხსნელნი.

XX საუკუნის გარიჟრაჟზე გურიაში უკვე წარმოიშვა სოციალ-დემოკრატიული წრეები. პერიოდულად ეწყობოდა გლეხთა ფარული კრებები, სადაც მუშათა კლასის მოწინავე წარმომადგენლები გლეხობაში აღვივებდნენ შეგნებული, ორგანიზებული ბრძოლის ინტერესს, აცნობდნენ რევოლუციურ ლიტერატურას. თავისუფლებას მოწყურებული გლეხობა ისე დაეწაფა წიგნს, რომ მეფის ხელისუფალთ უთქვამთ: „გურულები წიგნის კითხვამ აგვიჯანყაო". ამის გამო 1902 წელს აქა-იქ არსებული ბიბლიოთეკა-სამკითხველოები დახურეს, მაგრამ გლეხებმა წიგნები თავიანთ ქოხებში გადამალეს. რევოლუციური გლეხობისათვის ძვირფასი შენაძენი გახდა არალეგალური ანბანი, რომელიც ბათუმიდან ასკანა-მთისპირში გადმოიტანეს და დაიწყეს რევოლუციური ლიტერატურის, პროკლამაციების, გამოვლება.

რუსეთის „სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტმა ქართულ ენაზე გამოუშვა სპეციალური პროკლამაციები, რომლებშიც ჩინებულად იყო ახსნილი პარტიის პროგრამა გლეხობის საკითხში. სწორედ ამ პერიოდში ქართულად გამოიცა ვ. ი. ლენინის ცნობილი ბროშურა „სოფლის ღარიბებს", რომელმაც გადამწყვეტი, ფასდაუდებელი როლი შეასრულა გლეხობის რევოლუციური განწყობა-გათვითცნობიერების საქმეში.

ამის შესახებ საუკეთესო მოგონება დაგვიტოვა ძველმა ბოლშევიკმა, 1905 წლის რევოლუციური გამოსვლების აქტიურმა მონაწილემ, სოფელ ფარცხმის (ჩოხატაურის რაიონი) მკვიდრმა, აწ განსვენებულმა მეტია გიტოს ცსუელმა ციხეკაემ:

„წლების მანძილზე ფარულად ვეწეოდით რევოლუციურ საქმიანობას. ჩემი ქმარი — კოსტა ჩემზე ადრე, 1904 წელს შევიდა პარტიაში, იგი 80 წლისა გარდაიცვალა. მახსოვს რევოლუციის ბობოქარი წლები — პირველად პროკლამაციები გადმომქონდა, შემდეგ

ISINI IBRZOLDNEN SABCHOTA KELISUPLEBISATVIS

კი იარაღს ვავრცელებდი. ხშირად პროკლამაციებსა და ვ. ი. ლენინის ბროშურებს თავშალქვეშ ვმალავდი, იღლიაში კი ჩახმახზე შემდგარი ნაგანი მქონდა ამოჩრილი. ასე ჩამოვლია ხოლმე ჟანდარმთა საგუშაგოებთან. ნასაკირალის შეტაკების წინა დღეს ორჯერ ჩავედი ბახვისწყლის პირას ჩასაფრებულ რევოლუციონერებთან. კოსტა მაშინ ჩემი საქმრო იყო, ისიც ვინახულე, რევოლვერისა და შაშხანის ვაზნები მივუტანე. ნასაკირალის შეტაკების დროს მეფის სატანაებს ქვა კუდით ისროლინეს წითელრაზმელებმა...“

1905 წლის გურიის გლეხთა რევოლუციური გამოსვლების შესახებ კონკრეტული ფაქტები გაიხსენა პარტიის ძველმა წევრმა, ერკენელმა (ჩოხატაურის რაიონი) ეერმანე რამიშვილმა. ამ 82 წლის მოხუცმა ისე დაბეჯითებით გადაგვიშალა წითელრაზმელთა ცხოვრების, ბრძოლისა და მოღვაწეობის ეპიზოდები, თითქოს გუშინდელ ამბავს ჰყვებოდა.

— ნასაკირალის შეტაკებაზე რას გვეტყვით? — ვკითხეთ მოხუცს.

— ერთ დღეს, დილაადრიან, მამაჩემთან მოვიდა დათიკო შევარდნაძე, მამაჩემმა და სხვებმა დიღხანს იმსჯელეს. ბოლოს დათიკო კარში გავიდა, ქუდი ჰაერში ისროლა, ელვის სისწრაფით წელში გაჩრილი მაუზერი იძრო და ორი გასროლით ტყვია ნატყვიარში ჩაჯინა. აბა, თქვენ, ხელმწიფის ნაძირალებო! — დაატანა მან გასროლას, გაგითხრით საფლავს! — ესა თქვა და შავ ბეღაურს მოახტა, რომ შეხედავდი, იტყოდი, რა დედამ შობაო, ისეთი ვაჟკაცი იყო. იმ დღეებში დიდი შეტაკება მოხდა ნასაკირალში, ისმოდა თოფების სროლა, დროდადრო ბომბებიც ფეთქდებოდა.

— მახსოვს, ნასაკირალის ბრძოლები აგვიწერა ჩვენი სოფლის მკვიდრმა, შეტაკების აქტიურმა მონაწილემ, დათიკო შევარდნაძის თანამებრძოლმა, 100 წლის მიღწეულმა ვიქტორ გეგენავამ. იგი ამ ერთი წლის წინათ გარდაიცვალა, — გვეუბნება ძმითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი სეევრიან მუხაშავრია. — ეს შეტაკება ჩვენი სოფლის ტერიტორიაზე მოხდა, ბევრმა მამაცმა ადამიანმა მიიღო მასში მონაწილეობა. მათ შორის ვ. გეგენავა პირველი პარტიული ორგანიზაციის ადამიანთა აღზრდისა და დარაზმვის კეთილშობილურ საქმეში, „იდეოლგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ხორცშესხმისათვის. ჩვენი ძირითადი ფუნქციები კი ის არის, რომ მასებში ვეწეოდეთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდას, ვუნერგავდეთ ადამიანებს წიგნის სიყვარულს. ამისათვის ვიყენებთ იდეოლოგიური მუშაობის სხვადასხვა ფორმას — წიგნების განხილვას, მიმოხილვებს, ლექციებს, დისპუტებს, მკითხველთა კონფერენციებს, ავტორებთან შეხვედრებს, კოლექტიურ და საზოგადოებრივ კითხვებს, წიგნის გამოფენებს, კვირეულებს, დეკადებს, ერთთვიურებს. ამასთან, ვცდილობთ ეს ღონისძიებები ეფექტიანი იყოს, მჭიდროდ უკავშირდებოდეს ცხოვრებას.

დიდი მუშაობა გავწიეთ ჩვენი პარტიული ფორუმების ღირსეულად შესახვედრად. შარშან ოქტომბერ-ნოემბერში საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებში გაიმართა კრებები ერთიანი დღის წესრიგით: „წიგნის მოყვარულთა ორგანიზაციების ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისა და სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის“.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მიზნები და ამოცანები

ხალხის სამსახურში

„წიგნის გარეშე არ არის ცოდნა, ხოლო ცოდნის გარეშე კომუნიზმი“.

ვ. ი. ლენინი.

მუშაობაში დიდ ადგილს ვუთმობთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის პროპაგანდას, ვცდილობთ ჩვენი საზოგადოების გამგეობის, ადგილობრივი ორგანიზაციების გამგეობათა მუშაობა სულ უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ ქვეყნის, რესპუბლიკის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, იმ ძვრებს, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წელმძღვანელობით ხდება რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში. ამ მხრივ განსაკუთრებით გააქტიურდა მუშაობა ჩვენს დედაქალაქში. მაღალ დონეზე, საინტერესოდ ჩატარდა ლექციები, მიმოხილვები, რომლებიც მიეძღვნა წიგნებს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. უ. ჩერნენკოსი — „პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის საკითხები“, პროფესორ ვ. მერკვილაძისა — „მუშათა კლასი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების წამყვანი ძალა“, დოცენტ შ. კუტალია „ეროვნული საკითხი და ინტერნაციონალიზმი“, ასევე ეროვნული ურთიერთობანი, ეროვნული ინტერესები, ეროვნული ფასეულობანი, ეროვნული ენა, ეროვნული ფერი, ეროვნული ფესვები, ეროვნული ტრადიციები, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეკოლოგია, ეროვნული ეთიკა, ეროვნული ესთეტიკა, ეროვნული ეროვნული, ეროვნული ეროვნული, ეროვნული ეროვნული

თქვენით ამოვავალს ვხედავთ!

რესპუბლიკის სტუდენტი ახალგაზრდობის წლევანდელი საგაზაფხულო დღესასწაული დაიწყო...

„სტუდენტური დღეების“ მონაწილეთა ერთ ჯგუფს დღეს ვაცნობთ მკითხველებს. ისინი ჩვენი ახალგაზრდობის მოწინავენი არიან, მხრებგაშლილი ხვდებიან თავიანთ დღესასწაულს. „სტუდენტურ დღეებში“ საინტერესო შეხვედრების გარდა, ისინი ერთგვარი ანგარიშითაც უნდა წარსდგნენ პროფესორ-მასწავლებლების, თანატოლების წინაშე, გააცნონ, რა გააკეთეს, რის მიაღწიეს. ამჯერად ისინი მკითხველებს მოუთხრობენ თავიანთ საქმიანობაზე, „სტუდენტური დღეების“ მომავალ ღონისძიებებზე.

გვესაუბრებიან ვ. ი. ლენინის სახელობის სტიპენდიატები:

ბაბრი ხატიძე, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარო სახსწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ზოოსაინჟინრო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი:

— უკვე მეოთხედ ვხვდები სტუდენტთა დღესასწაულს. ყოველი წელი ჩემთვის თავისებურად სამახსოვრო აღმოჩნდა. პირველ კურსზევე ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციამ მოიწონა ჩემი ნაშრომი. ასევე განმეორდა სტუდენტობის მეორე და მესამე წელს.

სოფიო სკვირერი, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

— მომავალი პედაგოგისათვის მეცნიერული მოღვაწეობა სტუდენტურ წლებში, ვფიქრობ, აუცილებელია. აქ მეტად ვეჩვევით დამოუკიდებელ შემოქმედებითს აზროვნებას. ამ მხრივ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო საინტერესოდ წარმართავს სტუდენტებთან მუშაობას. 25 აპრილს ჩვენთან მოეწყობა „პედაგოგის დღე“, სადაც ახალგაზრდებს საშუალება გვექნება ვისაუბროთ ჩვენთვის საინტერესო პრობლემურ საკითხზე.

ვალერი გელბახიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი:

— სტუდენტური დღეები საინტერესოდ დაიწყო. ახალგაზრდებისათვის, კომკავშირელებისათვის, ვფიქრობ, სამახსოვრო დღეები იქნება. იგი ჩვენი ძალებით მომზადდა. ყველაფერი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია. იმიტომ ვღელავთ კიდეც...

ემზარ ძირკვაძე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე:

— ერთი წელიც და, ინსტიტუტს დავამთავრებ. არჩევანში არ შემცდარვარ. პატარაობიდან სოფლად მამის გვერდით ვტრიალებდი. და ოცნებაც ასეთი მქონდა, მამასავით მეც შემესწავლა მანქანების საიდუმლო. სოფლის ხვალინდელი დღე ჩვენს მეცნიერებს ეკუთვნით. მეც ვფიქრობ ამ მხრივ სწავლის გაგრძელებას. რაც შეეხება ახლანდელ საზეიმო დღეებს, ეს დღეები მართლაც, ლამაზია...

თავიანთ გეგმებზე, ფიქრებზე, ოცნებებზე გვესაუბრნენ სხვა ინსტიტუტების სტუდენტები, მომავალი დირიჟორი, ფალიაშვილის სახელობის სტიპენდიანტი ციცინო ფალავანდიშვილი, ფოლკლორისტი ედიშერ გარაყანიძე, თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის სახელობითი სტიპენდიანტები ნინო ანჯაფარიძე და ნინო გოგიშვილი.

ფიზკულტურის ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტი დათო ცაავა, სპორტის ოსტატი, ორგზის ყამრელი, „სტუდენტური დღეების“ წინ მიიღეს სკკპ წევრობის კანდიდატად, ამიტომაც ორმაგად სასიხარულო აღმოჩნდა მისთვის ეს დღესასწაული...

ახალგაზრდები დღეს ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შეიკრიბებიან. აქ გაიმართება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისადმი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სტუდენტთა მხატვრული კოლექტივების საზეიმო კონცერტი „სტუდენტური დღეები-81“.

მ. კიკნაველიძე.

□ □

სურათზე: „სტუდენტური დღეების“ მონაწილენი (მარცხნიდან): ც. ფალანგანდიშვილი, მ. კაკაურიძე, გ. გოჯაევა, ბ. ხატიძე, მ. კაპანაძე, ე. გარაყანიძე, ნ. გოგიშვილი, ხ. შათაშვილი, ხ. სკვირერი, ე. ძირკვაძე, ნ. ანჯაფარიძე, დ. ცაავა.

ჯ. ლომაძის ფოტო.

სისადავე, ხალხურობა

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გრძელდება მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა.

გუშინ მაყურებლებს თავიანთი ხელოვნება უჩვენეს ასპინძის, ზესტაფონის, თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, მახარაძის, მესტიის, წალენჯიხისა და სხვა რაიონების კოლექტივებმა.

□ □

სურათზე: ზემოდან-ქვემოთ: ხაცეკვაო სიუიტას „თუშ ქალთა ლხინს“ ასრულებენ ახმეტის რაიონის თვითმოქმედი ანსამბლის მონაწილენი; გამოდის საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების მახარაძის გურული სიმღერების ანსამბლი და შემსრულებელი ანსამბლი „იადონი“.

ს. კილაძისა და ვ. გენგიურის ფოტო.

●●

მოყვარულთა ფილმების დათვალიერება

თბილისი კინოს სახლში გაიხსნა მოყვარულთა ფილმების რესპუბლიკური დათვალიერება. იგი ეწყობა მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების მეთერთმეტე რესპუბლიკური ოლიმპიადის ფარგლებში, რომელიც საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს ეძღვნება.

დათვალიერება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ე. შენგელაიამ.

დათვალიერებაზე წარმოდგენილია ორმოცი დოკუმენტური და მხატვრული ფილმი, რომელთაგან თითოეული პატარა კინომოთხრობაა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების შესახებ.

— წლევანდელი დათვალიერება წინა წლების დათვალიერებებს,— თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ეიერის თავმჯდომარემ, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. დვალიშვილმა, — როგორც ფილმების ოთხოდენობით, ასევე თემატიკის მოცულობითა და მთავალფეროვნებით, დათვალიერების მონაწილე სტუდიების გეოგრაფიით ჯარბობს. დათვალიერებაში აქტიურად მონაწილეობენ აჭარა, სამხრეთ ოსეთი, ქალაქი ფოთი.

მუდმივად უმჯობესდება სამოყვარულო კინოსტუდიების ტექნიკური და შემოქმედებითი შესაძლებლობები. დიდ დახმარებას უწევენ მათ საქართველოს პროფსაბჭოს კინომოყვარულთა რესპუბლიკური კლუბი-ლაბორატორია, რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირი.

ნაყოფიერად მუშაობენ თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, „მეონის“, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, მახარაძის რაიონის სოფელ კონჭკათის სამოყვარულო კინოსტუდიები. საქართველოს კინომოყვარულთა ნამუშევრები საუკეთესოდ აღიარეს ბევრ წარმომდგენლობითს დათვალიერებაზე. მრავალგზის მიიღო უმაღლესი ჯილდო სრულიად საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალებზე მხატვრულმა ფილმმა „ქილა“, რომელიც გადაიღო რესპუბლიკის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სტუდიამ „პიონერ-ფილმმა“. სხვათა შორის, „პიონერ-ფილმმა“ წლევანდელ დათვალიერებაზე ხუთი ფილმი წარადგინა.

დათვალიერების გამარჯვებული ფილმები მონაწილეობას მიიღებენ სრულიად საკავშირო დათვალიერებაში, რომელიც მოსკოვში გაიმართება მიმდინარე წლის ნოემბერში.

დათვალიერების გახსნას ესწრებოდა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზ. კვაჭაძე. (საქინფორმი).

სდევნიან ინტელიგენციას

გუენოს-აირესი. ჩილეს ფაშისტური ხუნტა აძლიერებს ტერორსა და რეპრესიებს, რათა ჩახშოს თავისუფალი აზროვნების ყოველგვარი გამოვლინება. განსაკუთრებით სდევნიან ინტელიგენციას.

უმაღლესი განათლების შესახებ მიღებულ ახალი დეკრეტის შესაბამისად, რომელიც ოფიციალურად აკანონებს პროგრესულ მასწავლებელთა და სტუდენტთა დევნას და, გარდა ამისა, დამატებითს ფინანსურ ბარიერებს ქმნის უნივერსიტეტის დიპლომის მიღების გზაზე, ხუნტამ მეთოდურად დაიწყო ანგარიშის გასწორება უმაღლეს სასწავლებლებში მყოფი „ძირგამომთხრელი ელემენტებისათვის“.

მარტო ჩილეს სანტიაგოს უნივერსიტეტში „სახელმწიფო უშიშროების კანონების დარღვევის“ სტანდარტული ბრალდებით გადაასახლეს სტუდენტთა მოძრაობის 14 ხელმძღვანელი.

22 სტუდენტი გაირიცხა როგორც „პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო“.

ვალპარაისოს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით მთელ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას დაეშუქრნენ, რომ სამეცნიერო წოდებას ჩამოართმევენ და სამუშაოდან დათხოვენ კატეგორიულად აუკრძალეს გააკრიტიკონ ამ სასწავლებელში არსებული ანტიდემოკრატიული წესები. ხელისუფალთა მოქმედება მოსწავლე ახალგაზრდობისა და დემოკრატიული საზოგადოებრიობის მტკიცე პროტესტს იწვევს.

საფრთხე კვლავ რჩება

კანბერა. პრემიერ-მინისტრმა ვანუატუს (ახალი გებრიდები) რესპუბლიკისა, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინათ მიიღო დამოუკიდებლობა, უოლტერ ლინემ განაცხადა, რომ ხეპარატისტული ამბოხების საფრთხე ამ კუნძულოვანი სახელმწიფოს ზოგიერთ რაიონში კვლავ ძალაში რჩება.

გარეშე ძალები, მათ შორის ამერიკის რეაქციული ორგანიზაცია „ფენინქსის“ ფონდი, კვლავ ცდილობენ განახორციელონ მდგომარეობის დესტაბილიზაცია ვანუატუში, აღნიშნა უ. ლინემ.

9 აპრილი

ურთიერთგაგების ვითარებაში

ვენა. ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა ბ. კრაისკიმ თავის რეზიდენციაში სადილი გაუმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ტიხონოვს.

საპატიო სტუმარს მიესალმა ვენის ბურგომისტრი ლ. გრაცი.

საბჭოთა მთავრობის მეთაურთან ერთად სადილად იყვნენ მისი თანმხლები ოფიციალური პირნი.

ავსტრიის მხრივ სადილად იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. პარი, ვაჭრობის, ხელოსნობისა და მრეწველობის მინისტრი ი. მტარბახერი, სხვა ოფიციალური პირნი.

ბ. კრაისკიმ და ნ. ა. ტიხონოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

ბ. კრაისკისა და ნ. ა. ტიხონოვის სიტყვები დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა;

ნ. ა. ტიხონოვი ეწვია ვენის რატუშს — ქალაქის მუნიციპალიტეტს. საპატიო სტუმარს მიესალმა ვენის ბურგომისტრი ლ. გრაცი.

ჩვენი ვიზიტი მეგობარ ავსტრიაში, თქვა საპასუხო სიტყვაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის დამთავრების შემდეგ. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ სკკპ XXVI ყრილობის დოკუმენტებსა და განსაკუთრებით ამ ყრილობაზე წამოყენებულ ახალ ფართო სამშვიდობო ინიციატივებს დადებითად ეხმაურება ნეიტრალური ავსტრია.

ვენა, როგორც ნეიტრალური ავსტრიის დედაქალაქი, უთუოდ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ავსტრიის სახელმწიფოს მეცადინეობაში, რომლის მიზანია დაძაბულობის შენელების პროცესის განგრძობა.

არქიტექტურის ძეგლის — რატუშის შენობის დათვალიერების შემდეგ ნ. ა. ტიხონოვმა ხელი მოაწერა ქალაქ ვენის საპატიო სტუმართა „ოქროს წიგნში“.

ამავე დღეს ნ. ა. ტიხონოვმა და ბ. კრაისკიმ მოლაპარაკება განაგრძეს.

აზრთა გაზიარების დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობის შემდგომი პერსპექტიული განვითარების ზოგიერთი საკითხი, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემები.

მოლაპარაკებამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ავსტრიის ფედერალურმა პრეზიდენტმა რ. კირშშლეგერმა საუზმე გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პატივსაცემად.

ნ. ა. ტიხონოვთან ერთად საუზმეზე იყვნენ მისი თანმხლები ოფიციალური პირნი.

ავსტრიის მხრივ საუზმეზე იყვნენ ფედერალური კანცლერი ბ. კრაისკი, მინისტრები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი.

ვენა. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება, 8 აპრილს შეხვდა ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ხელმძღვანელობას, აქტივისტებსა და წევრებს.

საბჭოთა მთავრობის მეთაურს მიესალმა ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი ფ. ტრენკლერი.

ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა მ. კლუგმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა მრავალმხრივ საქმიანობას ეწევა საზოგადოება ავსტრიისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის.

სიტყვა წარმოთქვა ნ. ა. ტიხონოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ თავისი საქმიანობის წლების მანძილზე ავსტრია-საბჭოთა კავშირის საზოგადოება გადაიქცა მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციად, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა მსოფლმხედველობის, პროფესიის, სოციალური კატეგორიის ადამიანებს — მუშებს, ინტელიგენციისა და მოსახლეობის სხვა ფენების წარმომადგენლებს.

იმავე დღეს ნ. ა. ტიხონოვმა საბჭოთა საელჩოში დარბაზობა გაუმართა ბ. კრაისკის.

ფედერალურ კანცლერთან ერთად დარბაზობაზე იყვნენ ეროვნული საბჭოს პირველი თავმჯდომარე ა. ბენია, მინისტრები, პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი.

სტუმართა შორის იყვნენ ნ. ა. ტიხონოვის თანმხლები ოფიციალური პირნი, ავსტრიაში საელჩოსა და სხვა საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მორიგი მანევრი

ვაშინგტონი, შეერთებულმა შტატებმა მორიგი მანევრი განახორციელა, რათა მიჩქმალოს თავისი მზარდი ინტერვენციონისტული როლი სალვადორში, რომელიც სახალხო გამოსვლებმა მოიცვა. ამ ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ელჩად, როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, დაინიშნა დ. ჰინტონი, რომელიც აქამდე სახელმწიფო მდივნის თანაშემწე იყო ეკონომიკის საკითხებში. მან შეცვალა რ. უაიტი, რომელიც ვაშინგტონმა უკან გაიხმო, ვინაიდან იგი საჯაროდ აკრიტიკებდა სალვადორში ამერიკის სამხედრო ყოფნის ესკალაციას.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს წიგნა

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახურის აგენტებმა დააპატიმრეს 22 წლის ე. რიჩარდსონი, რომელიც ეჭვმიტანილია იმაში, რომ აპირებდა პრეზიდენტ რ. რეიგანზე თავდასხმას. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, სასტუმროში, სადაც რიჩარდსონი ცხოვრობდა, აღმოჩენილია წერილები, რომლებიც შეიცავს მუქარას პრეზიდენტის მისამართით. ერთ-ერთ მათგანში, კერძოდ, ნაუწერია: „ახლა მივემგზავრები ვაშინგტონში, რათა განვახორციელო ჯ. ჰინკლის ჩანაფიქრი“. როგორც ცნობილია, ჯ. ჰინკლი 30 მარტს ვაშინგტონში თავს დაესხა რ. რეიგანს.

ვაშინგტონისაკენ მიმავალ საერთაშორისო მიმოსვლის ავტობუსში დაკავებულ რიჩარდსონს აღმოაჩნდა 32 კალიბრის გატენილი რევოლვერი.

საიდუმლო სამსახურის წარმომადგენელმა დაპატიმრებასთან დაკავშირებით განაცხადა: „მიმდინარეობს გამოძიება, და ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით“.

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

სოციალიზმისა და მშვიდობისათვის

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVI ყრილობა

პრაღა. მესამე დღეა მუშაობს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა. დელეგატები, რომლებიც წარმოადგენენ ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა ნახევარმილიონიან არმიას, ღრმად და ყოველმხრივ იხილავენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, პარტიული და სახალხო-სამეურნეო განვითარების აქტუალურ ამოცანებს. თავიანთ გამოსვლებში ისინი აცხადებენ, რომ მთლიანად უჭერენ მხარს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში განვითარებული სოციალიზმის შემდგომი მშენებლობისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა პარტიებთან და ქვეყნებთან ძმობისა და ერთიანობის გაღრმავებისათვის პარტიის გენერალურ ხაზს.

პარტიული ფორუმის დელეგატები უდიდესი ინტერესით, მოწონებითა და მხარდაჭერით შეხვდნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, რომელიც ყრილობაზე წარმოთქვა. ისინი მადლობას აცხადებენ იმისათვის, რომ ლენინ ილიას ძემ ასეთი მაღალი შეფასება მისცა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის საქმიანობას, ჩეხოსლოვაკიელი ხალხის შრომითის მიღწევებს, ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა კავშირის ბრძოლას სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებისათვის, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროებისათვის მხურვალედ უჭერს მხარს მთელი ჩეხოსლოვაკიელი ხალხი.

წარჩინებულმა მაღაროელმა ლ. ლასკოვსკიმ ყრილობის ტრიბუნიდან ილაპარაკა ოსტრავო-კარვინის აუზის შახტების კოლექტივების შრომით წარმატებებზე, რომლებმაც, მოპოვების გართულებული პირობების მიუხედავად, ბევრად გადააჭარბეს ხუთწლედის გეგმას.

„შკოდას“ გენერალურმა დირექტორმა ი. ლუდვიკმა ყრილობას მოახსენა, რომ მანქანათსაშენებელმა გაერთიანება „შკოდამ“ წარმატებით აითვისა როგორც ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, ისე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სხვა ქვეყნების ატომური ელექტროსადგურებისათვის განკუთვნილი მოწყობილობის წარმოება.

ყრილობაზე გამოვიდნენ წარჩინებული მქსოველი მ. შიმაკოვა, მემანქანე მ. ბედნარჟი, ბრატისლავის „ჰიდროსტავის“ სამშენებლო ორგანიზაციის დირექტორი ბ. შუტერა და სხვები, რომლებიც შეეხნენ თავიანთი კოლექტივების შრომითს მიღწევებს, აღნიშნეს, თუ რა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ყოველმხრივი თანამშრომლობა სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე.

დელეგატები გულთბილად შეხვდნენ მისასალმებელ სიტყვებს, რომლებითაც ყრილობას მიმართეს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მომძღვარ პარტიათა დელეგაციების ხელმძღვანელებმა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა ჰ. ჰანდერმანმა აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVI ყრილობის მუშაობა ადასტურებს, რომ ჩეხოსლოვაკიელი მშრომელები მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით თანამიმდევრულად და მიზანდასახულად მიდიან განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზით.

მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები, — განაცხადა ყრილობის ტრიბუნიდან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. ოლშოვსკიმ, — საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან ჩვენი ძმური მეგობრობის საფუძველია. ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების პოლიტიკის ქვაკუთხედია თანამშრომლობა ვარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში.

ვერავინ და ვერასოდეს ვერ შეძლებს, თქვა შემდეგ ორატორმა, პოლონეთი ააცილინოს განვითარების სოციალისტურ გზას. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, ხელმძღვანელობს რა პატრიოტიზმით და ინტერნაციონალური მოვალეობის გრძნობით, გამონახავს ძალებს, რათა ქვეყანა გამოიყვანოს სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიდან და დააყენოს სტაბილური სოციალისტური განვითარების გზაზე.

არასოდეს არ დავიივიწყებთ, რომ პოლონეთისათვის ძნელ ჟამს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სხვა მოძმე პარტიები, მათ შორის ჩეხოსლოვაკიის კომპარტია, გაგებით გვეკიდებოდნენ და გვეკიდებიან, გვიწევენ ფართო ეკონომიკურ დახმარებას, ხაზგასმით აღნიშნა ს. ოლშოვსკიმ.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ოვარიმ თქვა: ახლანდელ საერთაშორისო ვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVI ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

დღეს ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს ჩეხოსლოვაკიის ხელოვნების ოსტატებმა გაუმართეს საზეიმო კონცერტი, რომელსაც დაესწრო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ეთერის მომწამვლელები

დახმარებას უზრდიან ძირგამომთხრელ რადიოსადგურებს

ვაშინგტონი. აფართოებს რა იდეოლოგიურ დივერსიებს საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, შეერთებული შტატები აქტიურად იყენებს ძირგამომთხრელ რადიოსადგურებს „თავისუფლებისა“ და „თავისუფალ ევროპას“, რომლებიც ეთერს წამლავენ ყალბი პროპაგანდითა და ცილისწამებით. 1982 საფინანსო წელს, რომელიც 1 ოქტომბერს იწყება, მათი საქმიანობის დაფინანსებისათვის რეგანის მთავრობას განზრახული აქვს გამოაყოს 98,3 მილიონი დოლარი, რაც 4 მილიონ დოლარით აღემატება მათს შარშანდელ ბიუჯეტს. 3 მილიონი დოლარით გაიზარდა აგრეთვე მიმდინარე საფინანსო წელს რადიოსადგურებისათვის გამოყოფილი სახსრები.

ეს ციფრები მოიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატის ასიგნებათა კომისიის ერთ-ერთ ქვეკომისიაში ჩ. ეგლარდმა. იგი არის ხელმძღვანელი საერთაშორისო რადიომაუწყებლობის საბჭოსი, რომლის გამგებლობაში ზემოაღნიშნული რადიოსადგურები მისი თქმით, ასიგნებათა ზრდა მათი საქმიანობისათვის მოწმობს იმას, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაცია „საარსებო მნიშვნელობას“ ანიჭებს „თავისუფლებისა“ და „თავისუფალი ევროპის“ პროპაგანდისტულ გადაცემებს.

ვაშინგტონი, რომელიც ყოველნაირად წარმართავს ამ რადიოსადგურების საქმიანობას, ყოველწლიურად სულ უფრო გულუხვად აფინანსებს სწორედ იმიტომ, რომ მათ დაკისრებული აქვთ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ „ფსიქოლოგიური ომის“ წარმოების ბინძური მისია. ამასთან „ეთერის მომწამვლელები“ არაფერს „არ თაკილობენ. ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების მთავარმა გამომთვლელმა სამმართველომ, რომელიც საცნობარო მასალებს ამზადებს ამერიკის კონგრესისათვის, თავის მოხსენებაში აღიარა, რომ „თავისუფლება“ და „თავისუფალი ევროპა“ ყალბი, პროვოკაციული დივერსიული ხასიათის ინფორმაციას ავრცელებენ. „ამ პროგრამების კიდევ წამქეზებლურია, ისინი არაფრით არ უნდა გაგვეშვა ეთერში“, — აღინიშნა მოხსენებაში.

მათ განსაკუთრებული როლი განეკუთვნება სოციალისტური პოლონეთის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის. მის წინააღმდეგ ცილისმწამებლური, წამქეზებლური კამპანიის განხორციელებაში.

ესეც შენი თავისუფალი სამყარო

□ ჰოლანდია

ფერმერთა პროტესტი

ჰოლანდიელმა ფერმერებმა ქალაქ მაასტრიხტში შენობასთან, სადაც ევროპის გაერთიანებათა საბჭოს სესია მიმდინარეობდა, დემონსტრაცია გამართეს. მათ გადაჭრით გაილაშქრეს „საერთო ბაზრის“ ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, რომლებსაც არ ხურთ გაზარდონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასები, რაც დიდ ზარალს აყენებს ეროვნულ სოფლის მეურნეობას.

პოლიცია სასტიკად გაუსწორდა დემონსტრანტებს.

●●

სურათზე: მანიფესტანტთა დარბევა პოლიციის მიერ.

აპ-საკდესის ფოტო.

ამერიკელ ბიზნესმენთა ინიციატივა

ტოკიო. ამერიკელ ბიზნესმენთა ინიციატივა, ეკონომიკურ-ტექნიკურ ინფორმაციის ბანკის ორგანიზაციისა, ეხმიანება ტოკიოს ბიზნეს-ინფორმაციის ბანკის ინიციატივას. ამ ინიციატივის ავტორებმა, ამერიკელ ბიზნესმენებმა, ინფორმაციის ბანკის ორგანიზაციისა, ეს ინიციატივა ტოკიოს ბანკისა, ეს ინიციატივა ტოკიოს ბანკისა, ეს ინიციატივა ტოკიოს ბანკ

ᲕᲘᲜ—ᲕᲘᲡ?

ᲠᲝᲢᲞᲔᲠᲓᲐᲛᲘᲡ „ფეიენორდზე“ თბილისის დინამოელთა გამარჯვება თასების მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში „ევროპის ფეხბურთის დღის“ ყველაზე ბრწყინვალე მოვლენა იყო — არც ერთ სხვა მატჩში არ გასულა ორ ბურთზე მეტი. თბილისელთა სამი „მშრალი“ ბურთი, ბევრი მიმომხილველის აზრით, ფინალში გასვლის დიდ შანსს აძლევს მათ, რისთვისაც ერთი ნაბიჯია უნდა გადადგან როტერდამში. უცხოთის საგაგნტოები დიდ შეფასებას აძლევენ საბჭოთა ფეხბურთელებს.

— „დინამოს“ გასაოცარი თავდამსხმელები, რომლებსაც ელეგანტური დავით ყიფიანი ხელმძღვანელობდა მინდვრის სიღრმიდან, ამსხვრევდნენ ჰოლანდიელთა დაცვას, — წერს რეიტერის საგაზეთის მიმომხილველი. „თბილისელები ცხრილავდნენ „ფეიენორდის“ კარს და მთელი მატჩის მანძილზე ხელ-ფეხშებორკილი ჰყავდათ მეტოქენი, გარდა უკანასკნელი 20 წუთისა, — აღნიშნავს ფრანსპრესი. — ჰოლანდიელთა თავდაცვა უსუსური იყო სულაქველიძის წინააღმდეგ, რომელმაც ორი ბურთი გაიტანა“.

თბილისის „დინამოს“ გარდა, სპეციალისტთა აზრით, ბრძოლის გაგრძელების დიდი შანსი აქვს იენის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) „კარლ ცაისს“, რომელმაც თავის მოედანზე ანგარიშით 2:0 დაამარცხა პორტუგალიის „ბენფიკა“. გერმანელმა ფეხბურთელებმა თავიდანვე თავბრუდამხვევი ტემპით დაიწყეს თამაში და უკვე მე-20 წუთზე, ბილაუს და ლინდემანის ზუსტი დარტყმების შემდეგ 2:0 იყო. მათ მკვირცხლი, კომბინაციური ფეხბურთი უჩვენეს.

აი ევროპის დანარჩენი ტურნირების მატჩების შედეგები:

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ: ინგლისის „ლივერპული“-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ბაიერნი“ — 0:0, ესპანეთის „რეალი“-იტალიის „ინტერი“ — 2:0.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ: საფრანგეთის „სოშო-ჰოლანდიის აზ-67-1:1, ინგლისის „იფსვიჩი“-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „კელნი“-1:0.

საპასუხო მატჩები 22 აპრილს გაიმართება. (საკდესი).

ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲡ

ᲒᲣᲜᲓᲘ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის პირველი წრის მესამე ტურის მატჩები, თბილისის „ბურევესტნიკმა“ საუცხოოდ ითამაშა ასპარეზობის ერთპიროვნულ ლიდერთან კაუნასის „გრანტისთან“ და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 29:21 (13:8). ამ დღეს მინსკელმა არმიელებმა დაამარცხეს კიეველი თანაკლუბელები — 27:20 (16:10). ხოლო ცსკაძ მოუგო მოსკოვის „კუნცევოს“ — 26:23 (14:15).

დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: „გრანიტასი“ — 37 ქულა, ცსკა — 36, მინსკის ასკ — 35, „ბურევესტნიკი“ — 33, „კუნცევო“ — 30, კიევის ასკ — 26 ქულა. დღეს შეჯიბრების მონაწილენი ისვენებენ. ხვალ თბილისელები კიეველ არმიელებს ხვდებიან, ხოლო ზეგ — ცსკას.

Ჯ. ᲓᲔᲕᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲒᲘᲢᲐ

ᲕᲐᲫᲠᲐᲙᲘ. შრი ლანკის დედაქალაქ კოლომბოში გაიმართა ქალთა ტურნირი, რომელზეც გათამაშდა მსოფლიო ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის პრიზი. 36 მონაწილეს შორის პირველობა მოიპოვა 17 წლის მოსწავლემ სუნიტა ვიჯესურიამ, აღსანიშნავია, რომ ქალთა ტურნირი ამ ქვეყანაში პირველად გაიმართა.

ᲛᲨᲐᲒᲠᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲒᲐᲠᲯᲘᲨᲘ. თბილისში საქართველოს სტუდენტთა ნაკრებ გუნდთან ერთობლივი ვარჯიშისათვის ჩამოდიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენები. ვარჯიშის დამთავრების შემდეგ სტუმრები ეასპარეზებენ მოსკოვსა და რიგაში. ამ ტურნირებში სხვა სპორტსმენებთან ერთად საბჭოთა ნაკრების ღირსებას დაიცავს მსოფლიო ჩემპიონი, თბილისელი ირინე გაბაშვილი.

ᲠᲘᲒᲐ. გუშინ ფერგანაში დაიწყო უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. საწყის ეტაპზე 12 კოლექტივი ორ ჯგუფად განაწილდა. პირველშე ეასპარეზებენ ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-სპაერო აკადემიის (მოსკოვის ოლქი) გუნდი, თბილისის „ლოკომოტივი“, მოსკოვის „ფილი“, მოსკოვის „ავტომობილისტი“, კრასნოიარსკის „პოლიტეხნიკი“ და ლვოვის „სოკოლი“. მეორე ჯგუფში გამოვლენ მოსკოვის „ლოკომოტივი“, მოსკოვის „სლავა“, კიევის „ავიატორი“, ქუთაისის სახლმშენებელი კომბინატი, თბილისის „შევარდენი“ და ალმა-ათის „კოსმოსი“. ფერგანაში გუნდები 5-5 მატჩს გამართავენ, ხოლო 1-11 ივნისს მოსკოვში — პირველი წრის დანარჩენ შეხვედრებს.

ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲐᲑᲮᲐᲖᲗᲔᲗᲘᲡ ასსრ უმაღლესმა სასამართლომ განიხილა არკადი იულიანეს ძე მარკოზიას სისხლის სამართლის საქმე. მას ბრალად ედებოდა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და დაუდევრობა, აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღის უნებართოდ შენახვა — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე, 188-ე და 238-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულობანი.

სასამართლომ ჩადენილი დანაშაულებისათვის ა. ი. მარკოზიას მიუსაჯა პირობით სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სამი წლის გამოსაცდელი ვადით, მასვე დააკისრა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

რედაქტორის მოადგილე
Ბ. ᲜᲐᲮᲧᲔᲒᲘᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲔᲛᲡᲕᲚᲔᲚ ᲛᲔᲓᲐᲚᲝᲡᲐᲜᲗᲐ, ᲓᲐ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘᲗ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲡᲐᲣᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ!

1981 წელს საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში (დღის, სალამოსა და დაუსწრებელი განყოფილებები) ჩასარიცხავად, შესაბამისი სასწავლებლის მიმღები კომისიათა გადაწყვეტილებებით, ის პირები, რომლებმაც ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს (ვერცხლის) მედლით, საშუალო სპეციალური ან საშუალო პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებელი — **ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘᲗ,** მიიღება გამოცდების ჩაბარებენ შემდეგ საგნებში:

ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲒᲔᲑᲔᲖᲔ ᲨᲔᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ:

1. მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკის, ეკონომიკური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის, ეკონომიკური კიბერნეტიკის, მანქანათმშენებლობის მრეწველობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, მშენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, მრეწველობის დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკისა და დაგეგმვის, შრომის ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის დაგეგმვის, ვაჭრობის ეკონომიკის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ეკონომიკისა და ორგანიზაციის, ფინანსებისა და კრედიტის, სტატისტიკის, საბუღალტრო აღრიცხვის, პოლიტიკური ეკონომიის, საქონელმცოდნეობისა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაციის, საქონელმცოდნეობისა და სასურსათო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაციის, გეოლოგიური აგეგმვისა და სასარგებლო ნამარხთა საბადოების ძებნის, სასარგებლო ნამარხთა საბადოების ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდების, მეტეოროლოგიის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ქიმიის, ფსიქოლოგიის სპეციალობებზე — **მათემატიკა (წერა);**

2. ფიზიკის, ნახევრადგამტარებისა და დიელექტრიკების, რადიოფიზიკისა და ელექტრონიკის სპეციალობებზე — **ფიზიკა (ზეპირი);**

3. ქართული ენისა და ლიტერატურის, აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის, ფილოსოფიის, სამართალმცოდნეობის სპეციალობებზე — **ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);**

4. ჟურნალისტიკის სპეციალობის ქართულ სექტორზე — **ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);** რუსულ სექტორზე — **რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);**

5. რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — **რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);**

6. აფხაზური ენის და ლიტერატურის სპეციალობაზე — **აფხაზური ენა და ლიტერატურა (წერა);**

7. რომანულ-გერმანული ენებისა და ლიტერატურის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სპეციალობებზე — **შესაბამისი უცხო ენა (ზეპირი);**

8. ხელოვნების ისტორიის სპეციალობაზე — **ხელოვნების ისტორია და თეორია (სპეციალური პროგრამით — ზეპირი);**

9. ისტორიის, საზღვარგარეთის აღმოსავლეთის ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობის სპეციალობებზე — **სსრ კავშირის ისტორია (ზეპირი).**

ᲡᲐᲘᲜᲟᲘᲜᲠᲝ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲒᲔᲑᲔᲖᲔ ᲨᲔᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ:

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში:

არქიტექტურის სპეციალობაზე — **ხატვა,** ყველა სხვა სპეციალობაზე — **მათემატიკა (ზეპირი).**

ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში:

ყველა სპეციალობაზე — **მათემატიკა (ზეპირი).**

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲗᲐᲜ ᲨᲔᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ:

ყველა სპეციალობაზე — **ფიზიკა (წერა).**

ᲙᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲒᲔᲑᲐᲖᲔ ᲨᲔᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ:

ქართული ენისა და ლიტერატურის, სკოლამდელი აღზრდის პედაგოგისა და ფსიქოლოგიის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობებზე — **ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);**

რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — **რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);**

ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის სპეციალობაზე — **ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);**

რუსული ენისა და ლიტერატურის და ქართული ენის და ლიტერატურის სპეციალობაზე — **რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);**

რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე (ეროვნული სკოლებისათვის)— **რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);**

რუსული ენა, ლიტერატურა და ისტორია — **რუსული ენა და ლიტერატურა (წერა);**

სომხური ენისა და ლიტერატურის და ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — **სომხური ენა და ლიტერატურა (წერა);**

აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის და რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე —**აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა (წერა);**

ოსური ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე —**ოსური ენა და ლიტერატურა (წერა);**

უცხო ენების სპეციალობაზე — **შესაბამისი უცხო ენა (ზეპირი);**

ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხო ენის სპეციალობაზე — **უცხო ენა (ზეპირი);**

ოსური ენისა და ლიტერატურის და უცხო ენის სპეციალობაზე— **უცხო ენა (ზეპირი);**

ისტორიისა და ისტორია-პედაგოგიკის სპეციალობებზე — **ისტორია (ზეპირი);**

დაწყებითი სწავლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე —(სექტორების სწავლების ენის) —**შესაბამის ენასა და ლიტერატურაზე (წერა);**

ზოგადტექნიკური დისციპლინებისა და შრომის სპეციალობაზე — **მათემატიკა (ზეპირი);**

ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობაზე — **ფიზიკა (ზეპირი);**

ხატვა-ხაზვისა და შრომის სპეციალობაზე — **ხატვა;**

მათემატიკის სპეციალობაზე —**მათემატიკა (წერა);**

მათემატიკა-ფიზიკის სპეციალობაზე —**მათემატიკა (წერა);**

ფიზიკისა და ფიზიკა-ასტრონომიის სპეციალობებზე —**ფიზიკა (ზეპირი);**

ბიოლოგიისა და ბიოლოგია-ქიმიის სპეციალობებზე —**ბიოლოგია (ზეპირი);**

ქიმია-ბიოლოგიის სპეციალობაზე —**ქიმია (ზეპირი);**

გეოგრაფიისა და გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობებზე — **გეოგრაფია (ზეპირი);**

დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიკური აღზრდის სპეციალობაზე— **სპეციალობა;**

ფიზიკური აღზრდის სპეციალობაზე — **სპეციალობა;**

მუსიკისა და სიმღერის სპეციალობაზე — **სპეციალობა;**

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲒᲔᲑᲔᲖᲔ ᲨᲔᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ:

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში:

აგროსაინჟინრო (აგროსაინჟინრო-მელიორაცია, აგროსაინჟინრო საკვებწარმოება) და აგროსაინჟინრო მეაბრეშუმეობის სპეციალობებზე — **ფიზიკა (წერა);**

აგრონომია-ნიადაგმცოდნეობის, მცენარეთა დაცვის, მეხილეობა-მებოსტნეობისა და მევენახეობის (ხილისა და ბოსტნეულის შენახვის და პირველადი გადამუშავების ტექნოლოგიის) სპეციალობებზე —**ბიოლოგია (ზეპირი);**

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, მეცხოველეობის მექანიზაციის, სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციის, მიწათმოწყობის, ჰიდრომელიორაციის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, სოფლის მეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვის, სატყეო მეურნეობის, მეღვინეობის ტექნოლოგიის და დაკონსერვების ტექნოლოგიის სპეციალობებზე — **მათემატიკა (წერა);**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲣᲑᲢᲠᲝᲞᲘᲙᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ:

ტექნოლოგიის, მექანიზაციის სპეციალობებზე — **მათემატიკა (წერა);**

სუბტროპიკულის სპეციალობაზე —**ბიოლოგია (ზეპირი);**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲘ-ᲖᲝᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲡᲡᲡᲬᲐᲕᲚᲘ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ:

ყველა სპეციალობაზე — **ბიოლოგია (ზეპირი);**

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲒᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ:

ყველა სპეციალობაზე —**სპეციალობა.**

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲒᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘ:

ყველა სპეციალობაზე —**სპეციალობა (სპორტის არჩეული სახეობა).**

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად უნდა მიმართოთ შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლების მიმღებ კომისიებს.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲣᲐᲚᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ







ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

**ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ, ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲚᲝᲙᲝᲛᲑᲝᲢᲘᲕᲝ ᲓᲔᲞᲝᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲚᲔᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲜᲥᲐᲜᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲗ ᲛᲝᲣᲬᲘᲚᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲣᲬᲘᲚᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲔᲚᲔᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲜᲥᲐᲜᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲗ ᲛᲝᲣᲬᲘᲚᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲔᲚᲔᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲜᲥᲐᲜᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲗ ᲛᲝᲣᲬᲘᲚᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲣᲬᲘᲚᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲔᲚᲔᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲜᲥᲐᲜᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲗ ᲛᲝᲣᲬᲘᲚᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲣᲬᲘᲚᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲔᲚᲔᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲐᲜᲥᲐᲜᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘ